ოქმი:**ო12.37222021**
თარიღი:**21/07/2022**

ოქმი № 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 14 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, ნ. ქარჩავა, ვლ. ხავთასი, ნ. ნადირაშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, დ. მდინარაძე, ნ. სარჯველაძე, გ. სირაძე, ს. ქარცივაძე, ბ. მელუა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: მ. ცელაძე

2. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების მნიშვნელობაზე, ხოლო თანამომხსენებელმა მ. ცელაძემ კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო იგი, შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრმა დ. მდინარაძემ დასვა შეკითხვა-რამდენი შშმ პირია სულ მუნიციპალიტეტში აღრიცხული და რამდენია მათ შორის 18 წელზე ქვემოთ ასაკის ? -რაზეც მიიღო პასუხი. კომისიის წვრმა ს. ქარცივაძემ განაცხადა, რომ მოსაწონია სამოქმედო გეგმა, მაგრამ ამასთანავე სასურველია მეტი ზრუნვა 18 წელს გადაცილებულ შშმ-პირებზე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი გეგმის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა კომისიის წევრებს გააცნო კომისიაში შემოსული წერილი, რომელზეც მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი